საქართველოს მემარცხენე სოც. ფედ. პარტია.

წელიწადი მესამე

ბრძოლა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ბრძოლა“ ღირს
თვიურად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 250,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახახლის ჯუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნომპარელი
4 „ 15 „
საშვლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. — ჩერვონ.
4 „ 1 მ. — „

№ 588 ხუთშაბათი, ოქტომბრის 4 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 250,000

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია ამით აცხადებს საუოველთაო საუურადღებოდ, რომ მოსკოვის „ჟურნალ“-გაზეთებზედ ხელის მოწერა

ოქტომბრის თვის გრძელდება.

ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე ექსპედიციის კანტორაში, რუსთაველის პროსპექტი № 26 დილის 9 საათიდან დღის პირველ საათამდის.

ექსპედიციის გამგე **ჩეჩელაშვილი.**

დღიური

— ოფიციალური ცნობებით ბოლგარეთში აღდგენილია წეს-რიგი.
— ბოლგარეთში სწარმოებს ულმობელი ტერორი
— ნაციონალისტების აჯანყება გერმანიაში.
— ბავარიაში აღკრძალულია გაფიცვები და საბოტაჟი.
— კარას მიზანია—გააერთიანოს ნაციონალისტური ძალები.
— უთანხმოება კოალიციაში.
— საქსონიასა და ტიურინგიაში კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების მოლაპარაკება გრძელდება
— რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების პროლეტარიატი ესალმება გერმანიის რევოლიუციას და პირდება მას ყოველგვარ დახმარებას.

რევოლიუციის მოლოდინში

დასავლეთ ევროპის კონტინენტზე ამ ჟამად დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდება. ამ ამბებს ქმნის ბურჟუაზიული გერმანია, მართლაც, გერმანიაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ვითარება მეტად სერიოზულ საფრთხეს უქადის არა მარტო გერმანეთის კაპიტალისტებს, არამედ მთელი ევროპის ბურჟუაზიას.

ევროპის სახელმწიფოთა რიგში გერმანიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ომამდე გერმანიის იმპერია წარმოადგენდა ერთობ ძლიერ სახელმწიფოს ევროპის მასშტაბით. ეკონომიური წარმატება და ფინანსიური დაწინაურება გერმანიას გადამწყვეტ ძალის მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში. მთელ ევროპაში მხოლოდ ორი სახელმწიფო ითვლებოდა კაპიტალისტურად უაღრესად განვითარებული, ეგ სახელმწიფოები იყო დიდი ბრიტანეთი და გერმანია, სადაც ფეხი მომაგრებული ჰქონდა ე. წ. ფინანსიურ კაპიტალს. კაპიტალიზმის ევოლიუციის ეგ უმაღლესი სტადია ჰგულისხმობდა ქვეყნის ორ მოწინააღმდეგე ბანაკად დარაზმვას. იქ, სადაც გამტკიცებულია კაპიტალისტური წეს-წყობილება, ძლიერია ბურჟუაზია და მრავალრიცხოვანია პროლეტარიატიც. კერძოდ გერმანიაში სწორედ ასეთ მაგალითს ჰქონდა და აქვს დღესაც ადგილი. გერმანიის მძიმე ინდუსტრიამ შექმნა გერმანიის უზარმაზარი პროლეტარული არმია.

საერთაშორისო ომში გერმანია დამარცხდა. მაგრამ არსებითად დამარცხდა არა გერმანიის ბურჟუაზია, არამედ გერმანიის პროლეტარიატი. სტინნესებმა ომში დაკარგულ იმედების რეალიზაცია პროლეტარულ მასსის ხარჯზე განიზრახეს. ფინანსიურ-ეკონომიური კრიზისი, რომელიც ჩამოყალიბდა ომის შემდეგ, უმთავრესად ხალხის ქვედა ფენებს დაეწვა კისერზე. მეორე მხრით, გერმანიის ცხოვრება გაამწვავა იმპერიალისტურ მეზობლებმა. საფრანგეთმა თავისი აგრესიული პოლიტიკა მთელი სიმკაცრით დაუპირისპირა გერმანიის სახალხო მეურნეობას აღორძინებას. ეკონომიურად გერმანია მაღლა იდგა საფრანგეთზე და ცხადია, ეკონომიურ ხასიათის უპირატესობას ქონდა გადამჭრელი გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ ძალთა განწყობილებაში.

მოკავშირეებმა გერმანია დაავალიანეს. გერმანია მოექცა კონტრიბუციის უღელ ქვეშ. სახელმწიფოს არანორმალური ეკონომიურ—ფინანსიური მდგომარეობა არ იძლეოდა სარეპარაციო პირობათა სისრულეში მოყვანის შესაძლებლობას. საფრანგეთის ბურჟუაზიაც დაადგა პრაქტიკულ პოლიტიკის წარმოების ნიადაგს. ამის ბუნებრივი შედეგი იყო რურის ოლქის ოკუპაცია.

კუნოს ბურჟუაზიულმა მთავრობამ ვერ შესძლო გერმანეთის შექმნილ ხლართიდან გამოყვანა. წარმოიშვა მუშათა წრეებში გაძლიერებული რევოლიუციონური მოძრაობა. ეკონომიურ ცხოვრების ძარღვების მოშლამ გერმანიის მშრომელი ხალხი აუტანელ სიძვირის წინაშე დააყენა. ასე, რომ ერთდროულად გერმანიის პროლეტარულ მასსა ორი მტრის წინაშე წარსდგა: შინაური მძიმე ვითარება, გარეშე იმპერიალისტური სახელმწიფოების გამოლაშქრება. გაძლიერებულ უკმაყოფილების ქარტეხილში არ გამოდგა ურყევი კუნოს კაბინეტი და იგი ისტორიის არქივში გადაბარგდა.

მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ ვერც შტრეზემანმა შესძლო გერმანიის ეკონომიურ—პოლიტიკური და ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესობა. შტრეზემანმა ფინანსთა მინისტრის პორტფელი რუდოლფ ჰილფერდინგს ჩაუგდო ხელში. ჰილფერდინგი ცნობილი ეკონომისტი და სოციალისტური მიმდინარეობის მარცხენა ფრთის წარმომადგენელია. შტრეზემანი მოხერხებულად მოიქცა „ფინანსიური კაპიტალის“ ავტორის მთავრობაში შეყვანით. ამით იგი შეეცადა მოეჩვენებია მუშათა კლასისათვის ის, რომ მთავრობა გაატარებს რადიკალურ ხასიათის ცვლილებებს. მართლაც ასედაც მოხდა პირველ ხანებში. ჰილფერდინგი დაპირდა გერმანიის მშრომელ ხალხს ძირითადი ხასიათის რეფორმებს როგორც ეკონომიურ, ისე ფინანსიურ სფეროში. დაპირება შეიცავდა გადასახადის მთავარ სიმძიმის ბურჟუაზიულ კლასებზე გადატანას, წარმოების სრულ ნაციონალიზაციას და სხ. პრაქტიკულ მუშაობაში დაპირება ქაღალდზე დარჩა. კიდევ მეტი, შტრეზემანის მთავრობამ მიიღო ზომები ფაბრკომების და ქარხკომების მოძრაობის ლიკვიდაციისათვის.

დღეს გერმანიაში შექმნილია განსაკუთრებული მდგომარეობა. გაძლიერდა პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა. ამავე დროს მთელ გერმანიაში გამძვინვარდა ზღაპრული სიძვირე. მარკისა და დოლარის კურსი ყოველ საათს ეცემა. გერმანია სდგას ფინანსიურ კატასტროფის წინაშე.

რა ზომებს მიმართავს შტრეზემანის კაბინეტი. კრიტიკულ მომენტში? იგი ისევ ძველ გზას ადგას. ამ გზიდან გადახვევა არ შეუძლია ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, თუ კი მას პროლეტარულ ხელისუფლებას, თუ კი მას პროლეტირულ ძალა უფლებაში. ჩვენც უკვე ვამჩნევთ „სოციალურ ცვლილების“ პირობებს. გერმანიის პროლეტარიატმა გამოსცადა სხვა და სხვა რანგის ბურჟუაზიული კაბინეტები. ახლა კი ლოღიკური აუცილებლობით იქმნება საფუძველები ახალ. პროლეტარულ მთავრობის შესადგენად. თანამედროვე გერმანიას სხვა გზა არ გააჩნია სოციალ-ეკონომიურ საბედისწერო ქუჩაბანდიდან თავის დასაღწევად, გარდა სახელმწიფო ცხოვრების ძირ-ბუდიანად გარდაქმნის—პროლეტარულ ხელისუფლების დამყარებისაა. მშრომელთა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის შედეგებს ახლო მომავალი დაგვანახვებს.

მანია იძულებულია თვითონ აღიაროს ეს მარცხი. „უანკარემ ხაზი გაუსვა, რომ გერმანია მეტად ბუნდოვანად და ორაზროვანად სცემს ბრძანებებს წინააღმდეგობის მოსპობაზედ. „ეს ჯერ ნიშანია—ამბობს პუანკარე—რომ საფრანგეთის მიზანი მიღწეული არ არის, ჯერ ფრანგები დარჩებიან მდგომარეობის ბატონებად, თუ დაიცავენ სრულ სიმშვიდეს და გულგრილობას.“

ამ სიტყვას აღტაცებით ეგებება საფრანგეთის ოფიციოზური პრესა. „აკსიონ ფრანსეზი“ გულახდილად აცხადებს, რომ ახალი სარეპარაციო გეგმები ზედმეტია, რადგანაც საფრანგეთს შეუძლიან დაკმაყოფილდეს რურის ექსპლოატაციით.

ოფიციალური ცნობებით ორშაბათს კიუსტრინში ნაციონალისტებმა მოაწყეს აჯანყება. ციხის უფროსმა ჯარის შემწეობით ჩააქრო აჯანყება. იმავე ღამეს ნაციონალისტებმა გაიმეორეს გამოსვლა, მაგრამ ხელმეორედ დამარცხდნენ. ბერლინის მიდამოებს, ამ „აჯანყების შემდეგ, იცავს პოლიცია და ჯარი. აჯანყების თაოსნები დააპატიმრეს და მოათავსეს ციხეში.

შემდეგი ცნობებით ცნობებით, აჯანყებულნი შეეცადნენ ციხეში მრავალ დაპატიმრებულების განთავისუფლებას.

ბავარიის დიქტატურის კარას დადგენილებით, ყოველგვარ სახელმწიფო მოღალატე სიკვდილით დაისჯება. მისივე განკარგულებით ბავარიაში აღკრძალულია გაფიცვები, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, ისე კერძო წარმოებაში. დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან სიკვდილით ან დაპატიმრებით ასევე ისჯება საბოტაჟიც.

ბავარიის დიქტატორმა კარამ განაცხადა, რომ მას არა აქვს არავითარი მონარქისტული მიზანი.

მისი მიზანია—გაერთიანოს ყველა ნაციონალისტური ძალები მტკიცე მთავრობის შესაქმნელად. შემდეგ მან განაცხადა, რომ, თუ გამოცხადდა საერთო გაფიცვა, იგი მზად არის ჩააქროს—ნაციონალისტურ ორგანიზაციებისა და საშუალო კლასის დახმარებით.

ირკვევა, რომ კიუსტრინის აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა 400 კაცი, ამათში 12 გერმანიის არისტოკრატიის წარმომადგენელი.

14 ოქტომბერს ტრიერში დანიშნულია რეინის სეპარატისტების ყრილობა.

„დეილი გერალდი“ წინადადებას აძლევს ინგლისის მთავრობას ვალების მოთხოვნით გავლენა იქონიოს საფრანგეთზედ, რათა თავიდან აცილებული იყოს გერმანიის დანაწილება და იქ სამოქალაქო ომი.

მიუნხენში პრინცმა რეპრეხტმა, კარამ, კნილლინგმა და ლასსოემა დაათვალიერეს—ჯარი და პოლიცია.

გრტლერი აგონებს ბავარიის ნაციონიონალისტებს. რომ ყველა სამხედრო კავშირში მყოფმა 9 დღის განმავლობაში უნდა ჩაეწეროს ფაშისტთა მებრძოლ კავშირში. შეუსრულებლობისათვის გრტლერი ემუქრება ნაციონალისტებს პარტიიდან გამორიცხვით.

ვოლფენქიუტტელში კომუნისტებს და პოლიციის შორის მოხდა შეტაკება.

შტრეზემანის პარტიის მემარჯვენე ფრთა, მრეცკის ხელძღვანელობით, ოპოზიციაში უდგება კოალიციონური მთავრობას.

საქსონიის კომპარტია პროლეტარიატისადმი მიმართულ მოწოდებაში თხოულობს ლანდტაგის მოწვევას, საალყო წესების გაუქმებას, ბავარია-საქსონიის საზღვრის გამაგრება, დიქტატურის წინააღმდეგ საერთო მოქმედების კომიტეტის დაარსებას, საქსონიის მუშურ-გლეხურ მთავრობის შექმნას და მზადებას საერთო გაფიცვისათვის, რათა დაარსდეს სრულიად გერმანიის მუშურ-გლეხური მთავრობა.

ამ მოწოდებას მხარს უჭერს აგრედვე ტიურინგიის კომპარტია. სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შოროს მოლაპარაკება გრძელდება.

რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში სხვა და სხვა დარგის მუშა მოსამსახურეთ გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლითაც ესალმებიან გერმანიის რევოლიუციას და აღუთქვამენ მას ყოველ მხრივ დახმარებას.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ოდესა. მდ. დნესტრზედ, მაიაკის რაიონში (რუმინეთში) დაიჭირეს 7 რუსის მეთევზე. ეს საკითხი გაირჩევა რუსეთ-რუმინეთის დელეგაციის უახლოეს სხდომაზედ.

ნიუ იორკი. ნიუ-იორკში დაარსდა რუსეთთან ვაჭრობის კომიტეტი. რომელიც წარმომადგენელი იქნება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მსურველ 2.000 ექსპორტერის ინტერესებისა. კომიტეტეტის თავმჯდომარედ არის ცინცინატის ლორდმერი გენრიგენდი.

კოპენ-ჰაგენი. მოსკოვიდან დაბრუნებული დანიელები ანდერსენი და ბუში აღნიშნავენ, რომ მოსკოვის გამოფენამ დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა მათზედ.

სწუხან მხოლოდ, რომ დანია ნაკლებად მონაწილეობას იღებდა გამოფენაში.

პეტროგრადი. ჰელსინგფორსიდან ჩამოსულმა ფინეთის ელჩმა განაცხადა, რომ საზღვრების დამწესებელ კომისიაზედ თავდასხმა ფინეთის მთავრობამ შეიტყო მხოლოდ „როსტას“ დეპეშებიდან. იმ ადგილას, სადაც მკვლელობა მოხდა, საზღვარი დახურულია. თუ დამტკიცდება, რომ მკვლელები გადავიდნენ საზღვარს, მაშინ ფინეთის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს მათ ალმოსაჩენადა და დასასჯელადაო.

პეტროგრადი. ფინეთის მთავრობამ დაამტკიცა რ. ს. რ. კ. რკინის გზის შეთანხმების პროექტი.

პეტროგრადი. მოსკოვში მიემგზავრება ფინეთის წარმომადგენელი შერნვალი ს. ს. რ. კ. სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

ოხაკა. კარახანის მიერ პეკინში იაპონიის ელჩის იოშავარას ნახვის გამო, იაპონიის პრესა გაფაციცებით არკვევს ს. ს. რ. კ. და იაპონიის შოროის დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის საკითხს.

გაზეთი „ასახი“ მეთაურ წერილში, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ჩაგონებულია გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ, სწერს: „იაპონია რუსეთის მოლაპარაკების განახლება შეიძლება უფრო ადრე, ვიდრე ფიქრობენ მით უმეტეს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი იჟინი მოიხოვა ს. ს. რ. კ. საჩქაროთ შეთანხმებისა. ამასვე აღნიშნავს გაზეთი „ხოცი-ც“.

ლონდონი. „ობსერვერი“ გულმხურვალედ ესალმება ამხ. რაკოვსკის, რომელიც ჩავიდა ინგლისში, როგორც რ. ს. რ. კ. სავაჭრო წარმომადგენელი.

მოსკოვი. მოსკოვში მყოფმა იტალეთის დელეგაციამ გადასცა ს. ს. რ. კ. გარეშე საქმეთა კომისარს მიწვევა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო სახელოვნო გამოფენაში, რომელიც მოეწყობა ვენეციაში 1924 წ. აპრილში.

ჰელსინგფორსი. ფინეთის მთავრობამ წრნადადება მისცა ს. ს. რ. კ. მთავრობას დასდოს მასთან სანიტარული კონვენცია.

კოვნო. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენალმა ლორენცმა გადასცა ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს რწმუნების სიგელი.

უცხოეთი

ბერლენი. ჟენევიდან გადმოცემულ ცნობების თანხმად ერთა ლიგის მე-4 სესიას ჰქონია სულ 20 სხდომა. დამახასიათებელია, რომ ერთა ლიგას, გარდა იტალეთ—საბერძნეთის კონფლიქტისა, არც ერთი სერიოზული საკითხი არ განუხილავს. გერმანიის ერთა ლიგაში მიღების საკითხი სულ აო დასმულა.

ურთიერთ შორის გარანტიების საკითხი ასაწყისშივე გაიყინა, რადგანაც ამ საკითხში ერთსულოვნებას ვერ მიაღწიეს. გერმანიის ძველი ახალშენების მართვა—გამგეობის სახით მხოლოდ ცნობა მოაყენეს, მაგრამ ვერ აბოსწერეს.

ვენა. ბოლგარეთის ანგარიშვალდებულების ოფიციალური ცნობებით ყველგან აღდგენილია წეს-რიგი. მთავრობის ჯარი სდევნის დარჩენილ აჯანყებულთ. რკინის გზის მიმოსვლა აღდგენილია. საბრეთ—სლავიისა და რუმინეთის ცნობებიც ადასტურებენ მოძოაობის ჩაქრობას.

როგორც ირკვევა ინგლისისა და იტალეთის მთავრობები ეხმარებოდნენ ცანკოვის მთავრობას კომუნისტებთან ბრძოლაში. სამხოეთ—სლავია პირველში თანაუგრძნობდა რევოლიუციონურ მოძოაობას, რადგანაც ფიქრობდა, რომ მას ხელმძღვანელობდა გლეხთა პარტია. მაგრამ, როდესაც გამოირკვა მოძოაობის კომუნისტური ხასიათი, საბრეთ-სლავიამ უცებ შეცვალა პოზიცია.

ვენა. უკანასკნელ ბრძოლაში ბოლგარეთში ორივე ბრაეს დაუკარგნია 1500 კაცი. საბხოეთ—სლავიის ცნობით აჯანყებულთა დიდაღლიცხოვანი ჯგუფები გადავიდნენ სახღვარს. რომში ძივიდა 1000-ზედ მეტი აჯანყებული გლეხი.

საბხოეთ-სლავიის მთავრობამ განკარგულება გასცა აჯანყებულ აჭყაროან იარაღი. აჯახყების დროს ყველა დაჭერილ ადგილებში ცხადდებოდა საბჭოთა ძალა-უფლება. სახხოეთ—სლავიის ცხობით, ისიხი დაიხოკხეს ბერკოვიცთან ბრძოლაში.

ვენა. აჯახკების ჩაქოობის შემდეგ ბოლგარეთში დაიწყო ულმობელი ტეროორი. რუმინეთის გაზეთების ცნობით. სოფიაში და მის მიდამოებში ხდება მასსიური დახვრეტა, მოკლეს ვარნის კომპარტიის მდივანი კანდოვი. მუშათა და გლეხთა დაპატიმრება გრძელდება.

ბოლგარეთის სოციალ-დემოკრატები თავიდანვე დიდ მონაწილეობას იღებდნენ აჯანყების ჩაქრობაში და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მთავრობას.

ახალი ამბები

— **ლექცია უმუშავართათვის** პარასკევს 5 ოქტომბერს, უმუშევართა სასადილოს შენობაში ამხ. სუდაკოვი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: **ადამიანის წარმოშობა.** ეკრანზე იქნება ნაჩვენები ბუნდოვანი სურათები. ლექციის დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ამ პასშხი.

3. ეროვნული საკითხის გარშემო.

(შეიდეგი)

ეხლა ჩვენ გავსინჯოთ პარტიული ისტორიული დოკუმენტები: რას გვეუბნებიან ისინი ამ საკითხის შეახებ?

1904 წელს არჩილ ჯორჯაძე აკეთებს ჟენევის პირველ კოხფეორენციაზე მოხსენებას: **„ჩვენი პოზიციის განმარტების გამო“.** იგი ამბობს: „ლუკმა აუოის ინტერესს ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უჭირავს, ვამბობდით ჩვენ („საქართველოს“) მეშვიდე ნოეორში... **ეროვნების აღორძინების შესახებ შეუძლებელი ყოფილა ლაპარაკი, სანამ ხალხი წელში არ გაიმართება და თავისუფლად არ გაშლის თავის მხარ-ბეჯს. და ეს მოხდება მაშინ, როდესაც მოისპობა შრომის და კაპიტალის შორის წინააღმდეგობა, როდესაც მიწა და ქარხანა საზოგადოებრივ საკუთრებად შეიქმნება.** ამ რიგად **ავტონომიის მოპოება** ჩვენთვის იმ მხრივ უნდა იყოს სასურველი, რომ **ხელს შეგვიწყობს სანატრელ იდეალის განხორციელებისათვის**“... (იხ. ოქმები ქართველ რევოლიუციონერთა პირველ კონფერენციისა“ გვ. 52, 1904 წ. პარიზი, ხაზი ჩემია).

ამ განმარტებით „დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფაქტორის“ როლში გამოდის ეროვნება?

გავყვეთ ქვევით.

1905 წ. „საქართველოში“ ვკითხულობთ: „დღევანდელ ისტოროიულ მომენტში ჩვენი პოზიციაც ნათელი უნდა იყოს. ქართველ პროლეტარიატს და ქართველ გლეხობას რუსეთის პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად ეროვგვარი მატერიალური და კულტურული ინტერესები აქვს. გახსხვავება ჩვენსა და რუსეთის მასის მხოლოდ იმაშია, რომ კავკასიელ ხალხთ თავიანთი ეროვნულ კულტურულ ინტერესების დასაკმაყოფილებლად განსაკუთრეული პოლიტიკური ორგანიზაცია სჭიოდებათ. **ხოლო იგი გახსხვავება იმ გვარი ხასიათისა არ არის, რომ რუსეთის რევოლიუციისა და ჩვენს შოროის არსებულ სოლიდარობას ავნოს. დღეს ჩვენ უნდა ვეეებოთ რევოლიუციონური ძალების გაერთიანებას. ხოლო უმთავრესი ცდა რევოლიუციონერთა დღეს უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ რევოლიუციამ თავის „სოციალურს მიზანს“ არ უმტუუვხოს და რომ ბიუროკრატიული ელემენტების ზეგავლენით მას მარტო თვითმაყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი არ მიეცეს**“ (იხ. „საქართველოს“, 1905 წ. № 22 წერილი: „რევოლიუციის დასაწყისი“).

როგორ სდგას საკითხი?

მაგრამ ჩავყვეთ. იმავე წერილში ვკითხულობთ: **„ეროვნულ კითხვის გადაწყვეტა აქ პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დამოუკიდებლად, გაბედულად და თავის საკუთარის პასუხის მგებლობის ქვეშ იბრძვის ხალხი თავის ეკონომიურ განთავისუფლებისათვის. ჩვენში ოღეს (1905 წ.) ამ გზით მიდის რევოლიუცია და ამ გზას არ უნდა გადაუხვიოთ. ჩვენ უარვყოფთ პოლიტიკურს და ეროვნულ ხასიათის რევოლიუციას თუ მას წინ არ უძღვება სოციალური ხასიათის მოძრაობა. ხალხს არ ესაჭიროება პარლამენტი, თუ ძველებურად დამშეული და ეკონომიურად დამონებული დარჩება. მაშ პირველი ჩვენი ზრუნვა ეკონომიური უღელს გადაგდება უნდა იყოს. მხოლოდ იქიდან წარმოსდგება ჩვენი ხალხის სრული განთავისუფლება**“ (იქვე).

როგორი სახით აოის „შეუღლებული“ „ეროვნული და რევოლიუციონური მომენტები?“ არის თუ არა აქ „სწოოად და საღად“ კითხვა დაყენებული და გადაჭრილი? მკითხველი ნუ დაივიწყებს, რომ ეს იწერებოდა ნამდვილ პარტიულ ორგანოში, პარტიის დამაარსებლის არ. ჯორჯაძისა და გ. დეკანოზიშვილისაგან და გამოხატავდა პარტიის შეხედულებას მთლიანად.

კიდევ ერთი დოკუმენტი. ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ „პირველ პროექტში“ ვკითხულობთ: „...ჩვენი პოლიტიკური ავტონომიზმი და ფედერალიზმი ექვემდებარება ჩვენის სოციალისტურის იდეალის მთავარ პრინციპებს, ჩვენ მივისწრაფით ავტონომიის და ფედერაციისაკენ არა იმიტომ, რომ ამ პოლიტიკურ იდეალს გვიკარნახებს ეროვნული თავმოყვარეობის და განკერძოების გრძნობა, არამედ იმიტომ, რომ ამ პოლიტიკური ფორმების განხორციელებას სოციალიზმის ინტერესი მოითხოვს“ (იხ. „პირველი პროექტი“ გვ. 45).

ვფიქრობთ ეს ცხობეი ეყოფა ამხ. ამაღლობელს და სანამ ასეთს შეკითხვებს მოგვცემდეს, მან უნდა გაიგოს შემდეგი რამ: 1904—7 წლები არის რევოლიუციონური პერიოდის გამომხატველი და ამ ხახებში პაოტიის საფუძვლები და მისი პრინციპები რევოლიუციონურს ნიადაგზე მტკიცდებოდა. მთელი რიგი ამ პერიოდში წამოყენებულ დებულებებისა სწორეა თავისი ღირებულებით, თუმცა მათაც ესაჭიროება რევიზია და გადახინჯა თანამედროვე პოლიტიკის საზომით. 1907 წლიდან იწყება პარტიის ოპორტუნიზმის ჭაობში ჩაფლა, დემოკრატიზმის პარლამენტარიზმისა და პროგრამა მინიმუმის პრინციპიალურ სახარებად დასახვა. ამ წლიდან პარტიის ხელმძღვანელებმა ერა მარტო პრაქტიკულად გახოწნეს პარტია და ოპორტუნიზმის ჭაობში ჩაიყვანეს, არამედ თეორიულადაც გადასინჯეს პარტიის ძირიცადი დებულებები და რეფორმიზმი გაამეფეს პარტიაში. აქედან ცხადია, თუ ეროვნული საკითხი როგორ სახას მიიღებდა ასეოი „ბელადების“ ხელში.

მე ძირიან-ფესვიანად უარვყოფ ოპორტუნისტების პოლიტიკას და გამოვდივარ რევოლიუციონერების პროგრამიდან; თქვენ კი სარგებლობთ ოპორტუნისტების მასალებით და არც კი გარჯილხართ სახეიროდ გადაგესინჯაო და შეგესწავლა ის, რის შესახებაც ასეთი დიდი რიხით სწერთ, გაგეგოთ თუ როგორ სვამდენ ამ საკითხს 1904—7 წლებში.

მაგრამ განვაგრძოდ მარქსის შესახებ მსჯელობა. მე უკვე აღვნიშნე **„რომ მარქსი არ უარყოფდა ეროვნულ საკითხს, არ აუქმებდა ეროვნებას, არამედ იცავდა დაჩაგრულ ერებსა და იბრძოდა ერების „გამაუქმებელ თეორიების“** წინააღმდეგ“ (492 ხაზი ძველია) მეორე ადგილას ვსწერდი; „იქ (კომ. მანიფ.) წამოყენებულ დებულებებიდან მტკიცდება და ნათლად გადმომდინარეობს, რომ ერის ინდივიდუალობას არავითარი საფრთხე არ მოელის პროლეტარიატის გამარჯვებიდან, სოციალიზმის გამტკიცებით“ (491) ამ დებულებას მე ვიცავდი კატეგორიულად და გადაჭრით ჩემს ფელეტონებში. ვისაც სერიოზული კამათი სურდა ჩემთან, მას ეს დებულება უნდა დაერღვია. მე თავიდანვე ვაფრთხილებდი ოპონენტს „ვინც მოისურვებს იმის მტკიცებას, რომ მარქსის გაგებით ერთი (სამეურნეო) ფორმაციის შეცვლით, ისპობა ერიც, მან უწინარეს ყოვლისა უნდა დაამტკიცოს, რომ მარქსისათვის ეროვნება არის ეკონომიური ცხოვრების პოლიტიკური „ზედნაშენი“, გარკვეულ ეკონომიურ სტრუკტურასთან შეწონილი პოლიტიკური ფორმა, რომელიც შეიცვლება მთელი თავისი შინაარსით, როგორც კი მოხდება პირველის (ეკონომიურის), რადიკალური გარდაქმნა“ (489) აქედან ცხადია, რომ თავიდანვე ჩემ მიერ საკითხი იმის გამორკვევისკენ იყო მიმართული უარყოფდა თუ არა, აუქმებდა თუ არა მარქსი სოციალისტურ წყობილებაში ერის არსებობას; ამ ძირითად კითხვაზე ოპონენტმა პასუხი არ მოგვცა (თუ ვერ მოგვცა). ამის შემდეგ, ცხადია, ჩემი დებულებები კვლავ ძალაში რჩებიან.

ახლა კითხვა იბადება, თუ მარქსი არ აუქმებს ეროვნებას საზოგადოდ და სოციალისტურ წყობილებაშიაც, **რას უპირებს მას, როგორ ადგილს იჭერს ერი და ეროვნული საკითხი მარქსის რევოლიუციონერ სისტემაში?**

ამ კითხვაზე მე გარკვეული პასუხი გავეცი. ჯერ მოვიყვანოთ ის თუ როგორ განმარტებას აძლევს ჩემს დასკვნებს ამხ. ამაღლობელი; მას მოჰყავს შემდეგნაირად ჩემი ადგილები და თან თავის ეეიშვნასაც უკეთებს:

„მსგავსად პიროვნების საკითხისა, მარქსისათვის **ერი არ წარმოადგენს მიზანს“** (ხაზი ავტორისა ს. ა. № 492) „მარქსი ადგილს უთმობს ეროვნულ საკითხს და ეროვნულ პროგრამას, მაგრამ იგი დამორჩილებულია კლასთა ბრძოლის პრინციპთან“ (იქვე. მიკვირს რისთვის ღა კამათობს ამხ. სანდოხი? რისთვის ხარჯავს ამდენ ენერგიას? **რაც უკანასკნელ ორ ამონაწერში მან სთქვა ამას ვამბობდი სწორედ მე და სხვას არაფერს. მე ვსწერდი. რომ მარქსისათვის კლასთა ბრკოლის თეორიით არის განხილული ყოველი საკითხი და ამდენათვე ეროვნული საკითხი მისათვის არ არის პრინციპის საკითხი, არამედ ტაქტიკის საკითხია მეთქი“** (526 ხაზი ჩემია ს. დ.) ამხ. ამაღლობელი ძლიერ გაკვირვებულია, მაგრამ არა ნაკლებ გაკვირვებული ვარ მეც შემდეგი გარემოებით: 1) რად აცლის ამხანაგი ჩემს წინადადებას სიტყვას **„თვით“?** მე ხომ ვსწერდი: „მსგავსად პიროვნების საკითხისა მარქსისათვის ერი არ წარმოადგენს **თვით** მიზანს“ (492) ამ სახით წინადადებას სხვა გვარი სახე ეძლევა. 2) კომუნიზმის საკითხსაც მარქსი „კლასთა ბრძოლის თეორიით იხილავს“, მაშასადამე, კომუნიზმი მისთვის არ არის პრინციპის საქმე, არამედ ტაქტიკის? 3) მე ხომ ვამბობ მარქსი ადგილს უთმობს **ეროვნულ პროგრამას;** პროგრამა კი თქვენი განძარტებით—**პრინციპს ც შეიცავს და ტაქტიკასაც** (524) ამას იცავთ თქვენც?

მაგრამ ეხლა განვიხილოთ უფრო ვრცლად ის, რაც ზემოთ მოყვანილ ციტატების წინ და მის შემდეგაც მქონდა ნათქვამი განმარტების სახით და რაც არ გააცნო მკითხველს ჩვენმა ოპონენტმა. ტყუილდ არ ამოაცალა ამაღლობელმა ჩემი წინადადებიდან ოთხ ასოიანი პატარა სიტყვა **„თვით“,** ამით მან მთავარი ტვინი გამოაცალა წინადადებას. როდესაც ჩვენ მარქსის **რევოლიუციონურ სისტემას** ვითვალისწინებთ არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს მარქსის **მიდგომა საკითხისადმი. მარქსი თავისი რევოლიუციონურ სისტემაში გამოდის კომუნიზმის ძირითად პრინციპებიდან, რასაც მე უწოდე თვით მიზანი, და მას უკავშირებს ყველა დანარჩენ პრანციპიალურ კითხვებსა და მათი მოწესრიგების საქმეს. ასეთ თვით მიზანს ერი არ წარმოადგენს მარქსისათვის.**

ამგვაოია მარქსისტული რევოლიუციონური დაყენება კითხვისა, რომ მკითხველისათვის საკითხი ნათელი გამხდარიყო მე მივმართავდი ანალოგიას და ვსწერდი; „პიროვნება ძარქსისათვის არ არის **თვით მიზანი.** მიუხედავად ამისა იგი გარკვევით აყენებს პიროვნების განთავისუფლების, მისი თავისუფლების საკითხს. მარქს ენგელსის „კომუნისტურ ჟურნალში“ (№ 1 1847 წ.) მეთაურსა და სახელმძღვანელო წერილში... შემდეგს ვკითხულობთ: **„ჩვენ არც იმ კომუნისტთა რიცხვს ვეკუთვნით, რომელთაც სურთ პირადი თავისუფლება მოსპონ და მთელი მსოფლიო ერთ უზარმაზარი კაზარმად. ან უშველებელ სამუშაო სახლად გადააქციონ.** რასაკვირველია, ისეთი კომუნისტებიც არიან რომელნიც ძოურიდებლად უარყოფენ პირად თავისუფლებას და მათი მოსპობა სურთ, ვინაიდან იგი მათი აზრით საზოგადოებრივ ჰარმონიას ხელს უშლის. მაგრამ **ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქს თანასწორება თავისუფლების გაყიდვით მოვსპოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ... რომ არც ერთს საზოგადოებაში შეიძლება პიროვნების თავისუფლება იყოს იმაზე მეტი, როგორც კომუნიზმის საფუძვლებზე აგებულ საზოგადოებაში“** „მსგავსად პიროვნების საკითხისა (ხაზი ახალია ს. დ.) **მარქსისათვის ერი არ წარმოადგენს თვით მიზანს** მიუხედავათ იმისა, იგი **გარკვევით აყენებს ერების განთავისუფლების პროგრამას...** (კურსივი ახალია ს. დ.)

„მარქს-ენგელსის მიზანი, მათი არსებობის აღფა და ომეგა არის კომუნიზმი. ამ მთავარ მიზანთან არის შეწონილი და დაკავშირებული პიროვნებისა და ერის საკითხიც, რადგან მხოლოდ პირველის (კომუნიზმის) განხორციელება იძლევა მისი (მარქსის) წარმოდგენით (და ჩვენისაც) ორი უკანასკნელის სრული განთავისუფლების შესაძლებლობას“ (492) აქ არის **გაჩოთქმული საკამათო საკით-**

— **სიმინდის გატანა საზღვარ-გარედ.** ცეკავშირმა ფოთის ნავთსადგურით საზღვარ-გარეთ გასაყიდად გაიტანა ერთი გემი დატვირთული სიმინდით.

— **მშრომელი სტუდენტები.** შრომის ბირჟამ დაადგინა მშრომელ სტუდენტებათ ჩაითვლებიან ის სტუდენტები, რომლებიც ეკუთვნიან მშრომელთა წრეებს, რის შესახებაც სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო მოწმობა.

— **ლიტერატურის გასაიაფებლად** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობას გადასცა 250 ჩერვონეცი ლიტერატურის გასაიაფებლად და არსებულ წიგნებზე ფასების დასაკლებლად.

— **ანატომიური მუზეუმის დათვალიერება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაათვალიერა სანტრუსოვის ანატომიური მუზეუმი. კომისიამ მუზეუმის ექსპონატები დაიწუნა და მუზეუმის საქმე გადაეცა სასამართლოს.

— **შრომის ბირჟა.** 2 ოქტომბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 583 უმუშევარი ახლად ჩაწერა 141 უმუშევარი. გაიგზავნა 86 უმუშევარი.

— **შეშა მოსამსახურეებისათვის.** საქ. შრ. საპ. კომისარიატმა დაადგინა მიიღოს სასწრაფო ზომები მოსამსახურეების შეშით მომარაგებისათვის.

პარტიაში

საქართველოს მემარც. სოც.-ფედ. სარევოლ. პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 9—სექტემბრამდე გაცემული ყველა მანდატები გაუქმებულად ითვლება და მოხდება წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

ამხანაგებს ეფალებათ გამოცხადდენ ახალი მანდატების მისაცემად სამაზრო პარტ. ბიუროში, სენაკის ქუჩა № 7 საღამის 4 საათიდან 7 საათ.

ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ ვადამდე გამორიცხულ იქნება ორგანიზაციიდან.

სამაზრო **კომიტეტი**.

მუშათა ცხოვრება

ხელოსანთ თვიმშრომელთა კლუბ-თეატრი

საჭირო არის აღინიშნოს, თუ როგორ არის ზოგადოთ დაყენებული ხელოვნების საქმე ამ თეატრში.

ეს კლუბი—თეატრით და ჯარგად მოწყობილი ბალით, თვითშრომელთა ხელოსნებისაა და ჯერ-ჯერობით ემსახურება საზაფხულო სეზონს.

უნდა ადინიშნოს რომ, საზოგადოთ ყველა თეატრებს ჰყავს განსაკუთრებული აუდიტორია, პროგრამების მიხედვით, როგორიც მუშათა კლუბს და თეატრის აუდიტორიის მუშები შეადგენენ, ბურჟუაზიულ კლუბისას კიდევ ბურჟუაზია და სხვა. მაგრამ რომ ვიკითხოთ, თუ როგორი აუდიტორია ყავს, ჩვენს ხელოსანთა კლუბს, ამაზედ პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ამ კლუბში წელს მუშაობდა სამი დასი; ქართული, სომხური და რუსული თვითეული კოლექტივის შემადგენლობაზედ და მუშაობაზედ ფართე ხასიათით არაფერს ვიტყვი, მხოლოდ აღსანიშნავია მათი მუშაობის ერთი გარემოება და განსაკუთრებით კი სომხების და ქართველების.

ყოველივე უკვე წარსულია, საზაფხულო სეზონი თითქმის დასრულებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ სულ მოკლე დროში, ამიტომ აი ეს წარსული გვაძლევს ბევრ მასალას მათი მუშაობის შესახებ. სომხურ დასში შედიოდა აკადემიური დასის მსახიობნი და შეიძლება ითქვას, რომ პირველობა მათ ეკუთვნოდათ და კიდეც მუშაობდენ, თითქმის დღე-დღეზე დგამდენ წარმოდგენებს და ყოველთვის, სრული შემოსავალი ქონდათ, მაგრამ საკითხავია როგორი რეპეტუარი ჰქონდათ მათ, რომ ხალხი სომხობა ეტანებოდა და ყოველ დღე გაჭედილი იყო ხალხით თეატრი. მართლაც რომ საკითხავია ეს გარემოება, მაგრამ საუბედუროთ ამაზე ვერ შემიძლია მივსცე დადებითი პასუხი. მათ რეპერტუარს შეადგენდა უმეტეს ნაწილად აზიური ოპერეტკები, როგორიცაა „არშინ მალ-ალან“, „აშუღ-ყარიბი“ „საიათნოვა“ და სხვა ასეთები.

ეს გარემოება არ არის მთლად სასურველი, ვინაიდან კოლექტივს არ უნდა მიეღო მხედველობაში, განსაკუთრებით ეკონომიური მხარე, რომ დიდ შემოსავლებს დასწოლოდნენ.

„არშინ მალ ალანებმა“ და სხვა ამგვარმა პიესებმა, განვლეს თავისი ეტაპი, საჭიროა ისინი ჩაბარდენ არხივს.

თუ მთავლიტმა აკრძალა ისტორიული პიესები, რომელთაც ზოგიერთ რამოდენიმე ათეულ წლების ისტორია აქვთ, რატომ არ ხსნის სცენიდან ასეთ პიესებს? განა „პატარა კახის“ დადგმა ახალი შესწორებით, რომელზედაც ნებართვა არ არის, გაცილებით უკეთესი არ იქნება ვინემ არხივს ჩაბარებულ ათასჯერ გამეორებულ „არშინ მალ ალანების“ და სხვა? მაგრამ ამაზედ შემდეგ. აქ ალბად შეცდომაა და ეს შეცდომა მოითხოვს გამოსწორებას.

მართალია ხალხით გაჭედილი იყო ყოველთვის თეატრი, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ხალხის მეტადრე, ისიც ხელოსან მუშა ხალხის სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, რაც გამოიხატება აი ასეთ პიესების დადგმაში, სხვანაირი საზომით უნდა მიდგომოდნენ. მართალია დღეს პიესების სიღარიბე არის, მაგრამ კიდევ მოგვეპოვება ორიგინალური, კლასიკური დრამები თუ არა რევოლიუციონური პიესები და თანაც იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მეოცე საუკუნეში ვსცხოვრობთ.

აი ასეთი იყო სომხურ კოლექტივის მუშაობა და ვფიქრავარ, რომ მომავალში ეს შეცდომები გამოსწორებულ იქმნება.

ეხლა კი მსურს ცოტა რამ აღვნიშნო ქართულ კოლექტივის შესახებ.

კომიტეტის გამგეობამ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის ხელმძღვანელად მოიწვია ნიჭიერი დრამატურგი გ.....ლი, რომელიც ჩაუდგა სათავეში და დაიწყო წარმოდგენების მმართვა, მაგრამ სანამ გავიგებდეთ მის მუშაობას სასურველია ვიცოდეთ ისიც, რომ აქ შედის სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა და მსახიობთ გარდა სცენის მოყვარეები, იგივე მუშა ხელოსნების წიაღიდან გამოსული.

ხალხი საზოგადოდ იშვიათ შემთხვევაში ისიც მოპატიჟებით, თორემ ძალიან ნაკლებათ ესწროებოდა, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ იდგმებოდა, მხოლოდ და მხოლოდ შერჩეული, ორიგინალური ნაწარმოები, რომლებმაც ბევრჯელ ცრემლები აფრქვევინეს მსმენელებს. „არშინ მალ ალანები“ რომ დაედგათ აქაც გაიჟედებოდა ხალხით თეატრის დარბაზი, მაგრამ ამხ. გ—ლი ფაქიზათ ეპყრობოდა საქმეს და ამიტომ არის, რომ მათ აინტერესებდათ, არა შემოსავალი, არამედ ხალხის სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ხელოსანთ სცენის მოყვარეთა მონაწილეობამ ქართულ წარმოდგენებში და მუშაობაში დაბადა ის აზრი კომიტეტის გამგეობაში, რომ ის გაეფართოებინათ და ფართე ხასიათი მიეცათ მისთვის, ვინაიდან, მხოლოდ მუშათა წრიდან გამოსულ ძალებს შეუძლიან გადასცენ აუდიტორიას ის მუშური განცდები და რევოლიუციონური სულის აღტყინება, რაც მათ პრაქტიკაში ნამდვილად ხდება.

ამიტომ გადაწყვეტილ იქმნა დაარსებულიყო ერთგვარი სტუდია მუშა ხელოსანთა სცენისთვინ მოსამზადებლად. ეს დიდი საპატიო აზრია და არც შემცდარა თვით მშრომელთა კომიტეტი, რომ ასეთ საპატიო საქმისთვის მოუკიდია ხელი.

საქმეს უკვე საძირკველიც ჩაეყარა, სწარმოებს მუშაობა მის სასურველ ნიადაგზედ დაყენების და მოწყობის შესახებ.

სტუდიის ჩამოყალიბება და ორგანიზატორობა, რომელშიაც სცენის მოყვარეთა საბალეტო ჯგუფი სიკო, განყოფილების გარდა შედის მოსიმღერეთა გუნდი, რომლის შედგენა დაევალა იგივე კოლექტივის გამგეობას, რომელშიაც შედიან გიორგი სვანიძე, გოშაშვილი, ნესტ. ცერაძე და თვით ხელმძღვანელი გ—ლი.

სცენის მოყვარეთა სტუდიაში ჯერ-ჯერობით შედიან 45 ქალი და კაცი—ხელოსნები მხოლოდ მომღერალთა კი 30.

ვუსურვებ, რომ ხელმძღვანელების და სტუდიელების ენერგიული შრომით არამც თუ ხელოსანთა, არამედ მუშათა თეატრებისთვის მიეცათ ამ ნამდვილ მუშათა წიაღიდან გამოსული მუშა მსახიობები, მხოლოდ კომიტეტს ვუსურვებდი თავისი მაღლიანი ყურადღება და ენერგიული შრომა, როგორც სხვა დარგში აქაც არ მიეკლოთ.

გარო.

შრომის ბირჟის საყურადღებოთ.

ამ უკანასკნელად ძალიან გახშირდა შრომის-ბირჟის გარეშე მოსამსახურეთა სამსახურში მიღება, (არა სპეციალისტებისა). ჩემის აზრით დიდი დანაშაული მიუძღვის დაწესებულებათა უმფროსებს, ასეთ საერთო მშრომელთა რევოლიუციონური კანონების დარღვევაში, მაგალითები ბევრი არის ასეთების.

შეგვიძლია ერთი მაგალითი მოვიყვანოთ: ქართ. დივიზიის მთლიან სამხედრო კოოპერატივის გამგეობას გაუხსნია ტფილისში მაღაზიის—განყოფილება, მოუთავსებია 8—9 კაცი სამსახურში, (რომლებიც ახალი ჩამოსულები არიან სოფლებიდან) შრომის ბირჟის გარეშე. ასეთები ალბათ სხვა მრავალია; ამისათვის შრომის ბირჟა მოვალე არის მიაქციოს ასეთ ფაქტებს ყურადღება, შეასრულოს თავისი მოვალეობა მშრომელი ხალხის წინაშე, რომლებიც მასთან არიან აღრიცხვაზე და ადგილებზე კი ვერ დგებიან ასეთი მიზეზების გამო. საცა გამოჩნდება ასეთი არა კანონიერი სამსახურში მიღება თანამშრომლებისა, საჩქაროდ უნდა იქმნან მოხსნილნი სამსახურიდგან.

დაწესებულებების უმფროსებს (რომლებიც არღვევენ საერთო წესრიგს) უნდა გამოეცხადოს დიდი საყვედურება, თუ მოითხოვს საქმე პასუხისგებაშიაც უნდა იქნან მიცემულნი ასეთები, როგორც საერთო შრომის კანონების დამრღვევნი.

ეს პრინციპიალური მხარე. ამას იცავდა ამაღლობელი? რასაკვირველია, არა და არც შეეძლო დაეცვა.

ახლა „საკითხის პრაქტიკულად დაყენების შესახებ“. ჩემი წერილების მეოთხე თავში (კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნული საკითხი) მე სწერდი შემდეგს:

„საკითხის ნათელ საყოფად ჩვენ შეგვიძლია კიდევ ერთი შედარება მოვიყვანოთ: კლასთა ბრძოლის პრინციპი, პროლეტარიატის დიქტატურა და გარდამავალი პერიოდის სისტემის ეკონომიკა და პოლიტიკური ფორმები, მარქსისათვის არ წარმოადგენს **თვით მიზანს**, უმაღლეს იდეალს. მარქსიზმის თვით მიზანი კომუნიზმია, ხოლო კლასთა ბრძოლა ერთი უმთავრესი მეთოდი და პირობა ამ მთავარ მიზნის მისაღწევად,—მაშასადამე ინდივიდთა შორის ემანსიპაციის დამყარება, საზოგადოებაში ეკონომიურ და სოციალურ თანასწორობის შექმნა, მაშასადამე კლასთა მოსპობა. მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ მარქსიზმი დღევანდელ ბრძოლის პერიოდში ამა თუ იმ სახით ხელს აიღებს კლასთა ბრძოლის მეთოდზე და მას უბრალო ტაქტიკის კითხვად გამოაცხადებს—რასაკვირველია, არა.

ასევე ერების განთავისუფლება, ეროვნული საკითხი, ერი არ შეადგენს მარქსის **თვით მიზანს** ეს მიზანი კომუნიზმია, ყოველგვარი ყველფის მოსპობა, მაშასადამე მოსპობა ეროვნული ჩაგვრისაც. (გაიხსენეთ მარქსის სიტყვები 18.7 წ. **„პროლეტარიატის გამარჯვება იმავ დროს არის სიგნალი ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების“**, „კომუნისტური მანიფესტი“ ამბობს: **„რამდენად** მოისპობა ექსპლოატაცია ერთ პიროვნებისა მეორეს მიერ, **იმდენადვე მოისპობა ექსპლოატაცია ერთი ნაციისა მეორე ნაციის მიერ. კლასთა წინააღმდეგობის დაგმობასთან ერთად ერში დაემხობა ერთა მტრული განწყობილება ერთმანეთისადმი“**. მიუხედავად საკითხის ასე დაყენებისა, მარქსისტებისათვის, როგორც დავინახეთ, ეროვნული საკითხი, **ეროვნული ფაქტორი შეიქმნა შედარებით ერთ ერთ მთავარ პირობათ კაპიტალიზმის განადგურების საქმეში.**

ნიშნავს ეს იმას რომ ეროვნული საკითხი მხოლოდ ტაქტიკის კითხვაა? სრულიადაც არა. როგორც კლასთა ბრძოლის მეთოდი არის მთელი პროგრამის, მთელი სისტემის და პლატფორმის საკითხი, ისევე შედარებით ეროვნული საკითხი გადაიქცა მარქსისტებისათვის მთელი სისტემის, მთელი პლატფორმისა და პროგრამის საკითხად. თანამედროვე კაპიტალიზმის ბატონობის ხანაში მარქსისტები ვერ შექმნიან მიზანშეწონილს რევოლიუციონურს სისტემას გარეშე ეროვნული ფაქტორების გამოყენებისა. მარქსისტები ვერას შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლიან ეროვნულ კითხვას და ამიტომ ამ საკითხმა მეტად საპატიო ადგილი მოიპოვა მარქსისტების სისტემაში. ამგვარად ეროვნული ფაქტორი ერთი აუცილებელი პირობაა კაპიტალიზმის დასამხობათ და კომუნიზმის გასამტკიცებლად. როდესაც ასეთი სახით სდგას ამა თუ იმ პარტიისათვის ეროვნული საკითხი, მაშინ იგი (კითხვა) მხოლოდ ტაქტიკის კითხვა კი არ არის, არამედ უაღრესად პროგრამული“ (495).

აი რა მოსაზრებები და დებულება იყო გამოთქმული იმ ორ პატარა ციტატაში, რომელიც ამოიღო ამხ. ამაღლობელმა ერთი თავისებურად, ხოლო მეორე ყოველგვარ განმარტების გარეშე.

ახლა ვკითხულობთ „ამას სწერდა“ ამაღლობელი, აი მისი სიტყვებიც: „ერთი სიტყვით ეროვნული საკითხი უნდა იყოს **ან ტაქტიკის საკითხი, რომელსაც მაშინ მოვიხმართ, როცა გამოგვადგება და მაშინ უკუ გაგდებთ, როცა საჭირო აღარ იქნება, ან და იგი უნდა იყოს პრინციპი რომელიც ყოველთვის უნდა მოვიხმაროთ** (გინდა არ გინდა, საჭიროა თუ არა? ს. დ.) **და რომელსაც ხელს ვერახლდეს ვერ გავუშვებთ;** (ეროვნული საკითხი ტაქტიკას ქა პრინციპის საკითხიც იყოს ერთად შეუძლებელია? ს. დ.) **პირველი წესით საკითხის დაყენება არის მარქსისტული,** მეორე ს.-ფედერალისტური“ (476 ხაზი ჩემია).

საკითხის ასე განმარტება ძირეულად განსხვავდება ჩემი დებულებებისაგან. მე ვსწერ, რომ მარქსისათვის ეროვნული საკითხი მხოლოდ ტაქტიკის კითხვა კი არ არის, ირამედ უაღრესად პროგრამული.

თქვენი ინტერესი მოითხოვდა ყველა ჩემ მიერ ზემოთ წამოყენებული დებულებები დაგეწერვინათ ნამდვილი ფაქტებით, მარქს-ესგელსის ნაწერებიდან მოყვანილი დებულებებით და სწორი მსჯელობით. თქვენ ეს გზაც არ ირჩიეთ; სამაგიეროდ მკითხველს დაუშალეთ, თუ რას ვამბობდი მე სიტყვებში „თვით მიზანი“ და რას ნიშნავდა შედარება მსგავსად პიროვნებისა“ (პიროვნების გადაგვარება და მოსპობა კი არ შეადგენს მარქსის მიზანს, არამედ მისი ცხოვრების გაუმჯობესება) და სხვა. უნდა იცოდეთ რომ ასეთი წესიო „კამათი“ არ არის.

არ შეგვიძლია ერთ გარემოებას ყურადღება არ მივაქციოთ: თქვენ მიუბნებით არ შეიძლება დაპირისპირება პროგრამისა. და ტაქტიკის. ჩემს წერილებში არსად „დაპირისპირების“ არ აქვს ადგილი, არამედ ერთმანეთის **შევსებას,** და მასთანვე თქვენი დებულების წინააღმდეგ დაპირისპირებას.

ამხ. ნ. ბუხარინის **ვერსიით** მე ვამბობ: **„უველა იხ მიზნები, რომლებიც განსახორციელებლად დაუსახავს პარტიას თავის კლასის ინტერესების დასაცავად, შეადგენს პარტიულ პროგრამას. პროგრამაში მაშასადამე სწერია თუ რახ უნდა ესწრაფებოდეს განსაზღვრული კლასი“** (იხ. „კომუნიზის აბანი“ გვ. 6). მარქსისტების ერთ-ერთ მიზანთაგან შეადგენს ერების განთავისუფლება, ეროვნული ჩაგვრის მოსპობა „ერთ ერისაგან მეორე ერის ექსპლოატაციის მოსპობა“, მაშასადამე ეროვნული კითხვა ძათთვის არის პროგრამული საკითხი.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩემი ლიტერატურული მასალების შესახებ. ჩემს „ლიტერატურულ ღირსებათ“ ადასავესა და „თეორიულ და ფაქტიური მასალებით“ უხვად დაჯილდებულს ოპონენტს არ მოსწონს ჩემი მასალები და არ მიაჩნია ისინი „კომპეტენტურად“. ოპონენტი სწერს: იგი (სან-დონი) აიღებს კომ. მანიფესტის“ ქართ. გამოცემას რიაზანოვის წინასიტყვაობით და უმატებს 2—3 წიგნს, შეავსებს თავის წყაროებს მარქს-ენგელსის კერძო წერილებით, **დაბეგრავებს რამოდენიმე ბროშურას** (არ ივიწყებს გ. პლეხანოვის 16 გვერდიან ბროშურასაც) და შეუდგება „რევიზიას“ (№ 524 კურსივი ჩემია). ასე ახასიათებს ჩვენი „წესიერი“ ოპონენტი ჩემს ლიტერატურულ წყაროებს. მაგრამ ავტორს ავიწყდება ერთი რამ: **როდესაც სხვისას იწუნებ, შენი საკუთარი მაინც უნდა წამოაყენო, რომ საზოგადოებამ მიაგნოს, თუ საიდან ისარგებლოს საკითხის შესწავლის დროს.** ჯერ მოვახსენებ მკითხველს ჩემს წყაროებს; პირველ წერილში მე უკვე ავღნიშნე ის მთავარი საკითხები, რომელსაც ვეხებოდი ჩემს ფელეტონში. უმთავრესად წყაროებად მე გამოვიყვანე: „კომ. მანიფესტი“ რიაზანოვის რედაქციითა და მდიდარი **განმარტებებით** (გვ. 300) აგრედვე პროფ. ანდლერის ისტორიული შესავლითა და კომენტარიებით (გვ. 216, 1906 წ.) მარქსის „ებრაელთა“ საკითხის შესახებ ენგელსის „კომუნიზმის პრინციპები“. მარქს-ენგელსის ჟურ. „კომუნისტ. ჟურნალი“, „რევოლიუცია და კონტრრევოლიუცია გერმანიაში“; წერილები „ახალ რეინის გაზეთიდან“ (1848—9 წ.) „სლომჭალაკო ომი საფრანგეთში“, „გოტის პროგრამის კრიტიკა“, ენგელსის წერილები პოლონეთის და რუსეთის შესახებ (1871—5 წ.) და უკანასკნელი ხანის წიგნებითა და წერილებით.

მე ვისარგებლე აგრედვე 30-დე მათი სიტყვებით, მანიფესტებით, მოხსენებითა და კერძო წერილებით. მარქს-ენგელსის კერძო წერილებს მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თვით მარქსისტები და უხვად სარგებლობენ მით (კაუცკი, მერინგი, ლენინი, რიაზანოვი, ადორაცი და სხვა) ეს წერილები მეტად დიდი ღირებულების ისტორიული დოკუმენტებია*). რიაზანოვმა 6 ტომამდე შეაგროვა ისინი და ამ ახლო ნანში აპირებს ერთად გამოცემას. ბოლო ხანებში გამოცემული იქნა ლენინის გეგმის მიხედვით მარქს ენგელსის წერილების რჩეული ადგილები (იხ. წერილები „თეორია და პრაქტიკა მარქსისა და ენგელსის მიწერ მოწერებში“ გვ. 328, 1923 წ. ადორაცკის წერილთა და შენიშვნებით).

ესენი მარქს-ენგელსის ნაწერებიდან, **რომლებიც იმაც ისინი ეხებიან ნაციონალურ საკითხს.**

ახლა მათი ნაციონალური პროგრამისა და პრაქტიკის მიმომხილველნი: გ. ზინოვიევის წიგნი („ომი და სოციალიზმის კრიზისი“ გვ. 395) მეტად შინაარსიანი და მდიდარი მასალებით. ამ წიგნში დაწვრილებით განხილულია მე-19-ე საუკუნის ნაციონალური მოძრაობა და ნაციონალური ომები; ამ მოვლენებთან დამოკიდებულება სხვა და სხვა სოციალისტებისა და მარქს-ენგელსის, **ფ. მერინგის** წიგნები („კარლოს მარქსი“ გვ. 442, 1920 წ.) **ი. სტეკლოვის** („კარლოს მარქსი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“ გვ. 114, 1923 წ. პროფ. **მასარიკის** („მარქსიზმის ფილოსოფიური და სოციოლოგიური საფუძვლები“ გვ. 535, 1900 წ.) **ნ. ლენინის** („ნაციონალური საკითხი“ „სახელმწიფო და რევოლიუცია“ კ. კაუცკის წიგნები, პლეხანოვის ბროშურა („პატრიოტიზმი და სოციალიზმი“. ამ წიგნაკში პლეხანოვი ოფიციალურ პასუხს აძლევს ჟურ. „ლავი სოციალისტს“ რომელმაც ანკეტით მიმართა ცნობილ მარქსისტებს „კომ. მან.“ იმ სიტყვების გამოსარკვევად, რომელშიაც ნათქვამია: „მუშებს სამშობლო არა აქვთო“) **ო. ბაუერის** ცნობილი შრომა („ნაც. საკითხიდან ს.-დემოკრატია“ გვ. 600, 1909 წ.) პროფ. **კარეევის** შრომა („საერთო შეხედულობა დასავლეთ ევროპის ისტორიაზე“). გარდა ამისა პირველ ინტერნაციონალის ისტორიიდან მერინგის, სტეკლოვის, ზინოვიევის დასახელებულ წიგნებთან ერთად ვსარგებლობდი: სტეკლოვის წიგნებით: 1) „ინტერნაციონალი“ პირველი ნაწილი (გვ. 214 1920 წ.) 2) მუშათა კლასის საერთაშორისო პოლიტიკა“ (ინტერნაციონალიზმი გვ. 60, 1917 წ.) 3) „ისტორია მუშათა მოძრაობისა“ (გვ. 220, 1923 წ.), ეკის წიგნით „ინტერნაციონალი“ (გვ. 366, 1906 წ.) ამ წიგნებშივე არის მოყვანილი მარქსის მიერ შედგენილი „პირველი ადრესი“, მანიფესტი ინტერნაციონალისა და მისი მოღვაწეობა ამ ორგანიზაციაში.

იმპერიალიზმის პერიოდის დასახასიათებლად მე ვისარგებლე აგრედვე ლენინის წიგნით („იმპერიალიზმი“ 135, 1918 წ.) გობსონის („იმპერიალიზმი“—75,1918 წ.). რ. ლუქსემბურგის კაპიტალური შრომით („კაპიტალის დაგროვება“—336, 1921 წ.) ჰილფერდინგის შრომით („ფინანსური კაპიტალი“ 553, 1918 წ.) კომინტერნის მეორე კონგრესის რეზოლიუციით ნაციონალურსა და კოლონიალურ საკითხის შესახებ. ეს შრომები პირველ რიგში სდგანან თანამედროვე იმპერიალიზმის ახსნის საქმეში; მათ გარეშე თქვენ ვერ გაიგებთ იმპერიალიზმის შინაარსა და ბუნებას.

ეს ჩემი წყაროები ჩემს ოპონენტს მიაჩნია არა კომპეტენტურად და მათ ბროშურებად ნათლავს. ლიტერატურული ეტიკა და კამათის ინტერესი მოითხოვდა, თუ ჩემი წყაროები არ ვარგა და ვერ გამოდგება **მარქს-ენგელსის ეროვნულ პოლიტიკის სისწორით გასაგებად, ოპონენტს თავისი წყაროები დაესახელებინა:** როდესაც გაღმა ედავები მოწინააღმდეგეს, გამოღმა საკუთარს ოჯახში, საკუთარი გონებრივი აპარატი გამაგრებული უნდა ჰქონდეს, საკუთარი „თეორეტიული და ფაქტიური მასალები“ უნდა გყოფნიდეს მაინც. მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ „რომელ წყაროებს მიმართავს ამხ. ამაღლობელი, თავისი საპასუხო წერილებისათვის“. **რომელ წყაროებიდან უნდა გავიგოთ ჩვენ მარქს ენგელსის ეროვნული პოლიტიკა?** ეს არის **ერთად ერთი** წიგნი ლენინის მე-19-ტე ტომი, რომლითაც სარგებლობს ამაღლობელი თავისი პასუხისათვის; არის კიდევ ერთი შრომა (?)... თავისი საკუთარი წერილი „ტრიბუნის“ ფურცლებზე, რომელიც ჩემ საპასუხოდ იყო დაწერილი.. აი ამ მასალების მჭონი ოპონენტი იჩენს გაბედულებას სხვის „ლიტერატურულ ღირსებაზე“ სწეროს. ლიტერატურული ეთიკა სადღა დაიკარგა?

სან—დონი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. მერინგის წერილები წიგნში „მარქსის, ენგელსის წერილები წორგესადმი“ გვ. 342—415, 1908 წ.)

ასეთ მაგალითებს ბევრგან აქვს ალბათ ადგილები ქ. ტფილისში და სხვაგან. შრომის ბირჟა მოვალე არის საჩქაროთ შეადგინოს სანდო პირებისგან კომისია დიდი პასუხის ძგებლობის ქვეშ, რომლებსაც უნდა დაევალოს ტფილისში ყველა დაწესებულებებში თანამშრომლების გადათვალიერება, თუ ვინ რა გზით არის დამდგარი სამსახურში ამა თუ იმ დაწესებულებაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაცულ იქმნას შრომის კანონები, რითაც მოგვეცემა წლობით უმუშევარ ამხ. საშუალება სამსახურში დადგომისა.

აუცილებლად მოვითხოვთ მიექცეს ვისგანაც ჯერ-არის სასწრაფო ყურადღება ასეთს ფაქტებს.

ი. კაციტაძე

პროფ-კავშირების საყურადღებოთ.

საბჭოთა მუშაკების კავშირის სეკრეტარიატს აქვს დიდი ბრწყინვალე საქმეები გაკეთებული; მათ შორის არის ერთი, სასადილო, რომელიც კავშირის წევრებს უმუშევარ ამხ. ჰკვებავს, ე. ი. აძლევს უფასოთ სადილს, რისთვისაც კავშირის სეკრეტარიატს ეკუთვნის მადლობა შეგნებულ უმუშევარ—კავშირის წევრებიდან, და ამავე დროს უსურვებთ ყველა კავშირებს წაბაძონ საბჭოთა მუშაკების კავშირს და გაუხსნან თავიანთ კავშირის უმუშევარ ამხ. უფასო სასადილო, რომელიც აუცილებელია დღევანდელს ხანაში კავშირის უღარიბეს წევრთათვის, ამითი შევიძენთ უფრო ერთგულს მუშაკებს ყველა კავშირები. იმედია ამას ყურადღებას მიაქცევს ყველა კავშირები, და მიიღებენ შესაფერ ზომებს.

უმუშევარი ი. კაციტაძე.

დედა ქალაქის განაპირა მუშათა უბნები.

ბურჟუაზიული პლუტოკრატია, რომელ ათეული წლობით ედგა ქალაქის საბჭოს სათავეში, მხოლოდ თავის შინზრდილ შეძლებულ კლასის რაიონებს, ცენტრალურ ნაწილებს აქცევდენ ყურადღებას და აღმშენებლობითი მუშაობას ეწეოდენ სოლოლაკისთანა კუთხეების გასამშვენიერებლად მუშათა კლასის და უბნების ხარჯზე. ეს ანორმალური მდგომარეობა გრძელდებოდა წლითიწლობით და მუშათა უბნები მუდამ დავიწყებულ—დაწვის ანაბარათ იყო მიგდებული „ცენზიან“ ხმოსნების მიერ. თუ რამ კეთდებოდა ამ მუშაობა უბნებში ეს მხოლოდ თვით მუშათა თაოსნობით და მისი მარჯვენა ხელით.

იყო მომენტები, როდესაც ნაძალადევად, სტიქიურად ამოძრავებული მუშათა წრეები შევიწროებულნი აუარებელი ხარჯებით და უბინაობით, პოლიტიკური დევნით, სცდილობდნენ ცალკე მუშათა კვარტალების დაარსებას და რის შედეგიც იყო „ნაძალადევის“, ამ მუშათა მოძრაობის ცენტრის, „ნადიროვკის“, ვაკის, საბურთალოს და სხვ. მუშათა უბნების დაარსება მთავრობა და მისი სულის ჩამდგმელი „ქალაქის მამები“ ამ მოძრაობას ხელს უშლიდენ, სცდილობდენ მის ჩახშობას, მაგრამ სტიქიურად ამოძრავებული მასსა მაინც გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან.

შეიცვალა დრო და სოციალისტურ ხელისუფლებათა პრაქტიკამ, რასაკვირველია უკვე მიაქცია ყურადღება ამ მუშათა უბნებს. მაგრამ უნდა მოგახსენოთ სიმართლე, რომ მუშათა უბნების გამშვენიერება და მოწყობა ვერ მიმდინარეობს სავსებით მართებულად. მუშათა უბნები საჭიროებენ დიდ ყურადღებას და მზრუნველობას ჩვენ, რასაკვირველია, ვიცით ქალაქის სახსარი, მისი რესურსები და ფულის კრიზისები, მაგრამ ვიცით ისიც, რომ პროლეტარიატის ხელისუფლების ჟამს მუშათა უბნების მდგომარეობის გაუმჯობესება მეტს საჭიროებს მზრუნველობას და მოწყობას.

გაზ. „კომუნისტის № 220-ში ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმი ამ მოვლენის შესახებ კონკრეტულ დასაბუთებულ წერილს იძლევა, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც ქალაქს მუშაობა უწარმოებია. მაგრამ ჩვენ უნდა აღვიშნოთ ის გარემოებაც, რომ ასეთი მუშაობა უფრო გაცხოველებულად პარალელურად სწარმოებდა ქალაქის შიდა ნაწილებში. ქალაქის განაპირა უბნებში ამ ჟამად დიდი უკმაყოფილებაა წყლის, აბანოს და ელექტრონის უქონლობის გამო. არაა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სკოლებიშ, ბიბლიოთეკები. ასეთ უყურადღებობით აიხსნება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ ჟამად ქალაქის მუშათა უბნებში ძლიერ გახშირდა სახლების დანგრევა, მაგ. ვაკეში შარშან დაინგრა 10 მდე, სახლი, საბურთალოზე 100 დე, ავლაბარსა და ნაძალადევშიც. ეს მოვლენა შესამჩნევია.

მუშათა უბნებში უნდა მოკირწყლულ იყოს ქუჩები. აუარებელი გზები არ ვარგა. მუშათა უბნები უნდა განთავისუფლდეს ზედმეტ გადასახადებიდან. უნდა გაიხსნას კოოპერატივები პირველ საჭიროების საგნების მოსაწყობად. საჭიროა საბჭოთა ხელისუფლებამ ვაკესა და საბურთალოზე ტრამვაის ხაზის გაგრძელება თავს იდოს. ჩვენ ამ საქმეში უნდა ჩავაბათ თვით მუშათა უბნების მშრომელნი, რომელნიც ყოველთვის ზოუნავდენ თავის უბნების გასამშვენიერებლად და მოსაწყობად. რაც შეეხება მილიციას უნდა მოგახსენოთ, რომ იგი შეიძლება ნაკლები შემადგენლობისაც იყოს, მაგრამ ქალაქში და მეტადრე მუშათა უბნებში მეტი მყუდროებაა, ვიდრე ეს იყო წარსულ მთავრობათა დროს და მისს გაზრდას სხვა მუშაობა, პრაქტიკულ და კომუნალურ მეურნეობის გაფართოვება უფრო იქნება მიზანშეწონილი და ობიექტიური პირობები, რასაკვირველია, ვერ უწყობს ხელს სავსებით ამ საქმიანობის გაჩაღებას, მით უმეტეს, დღევანდელი ფულის კრიზისის დროს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს თავის მუშათა უბნების გაუმჯობესებისათვის მეტი პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღოს. მუშათა უბანი—ეს პირმშო შვილია—ტფ. აღმასკომის და კომუნალური განყოფილება და აღმასკომი ფართო კომუნალურ საძუშაო ასპარეზს გადაშლის ბურჟუაზიის დაბეგვრით მუშათა უბნების გამშვენიერებისათვის და მისი დანგრევის მაგიერ აღმშენებლობითი მუშაობით მომავალში განამტკიცებს მუშათა კლასის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბატონობას მუშათა კვარტალებში.

გრიგალი.

პროლეტარულ ლიტერატურაში

პროლეტარულ ლიტერატურაში იწყება უფრო ნაყოფიერი მუშაობა; მაგრამ ქალთა ჟურნალი არასად სჩანდა, რაც უთუოდ დიდ მნიშვნელოვანია მშრომელი ქალების დასაკავშირებლად, მათი ნაფიქრ-ნაგრძნობის საზოგადოების ასპარეზზე გამოსატანად. დღეს ვხედავთ ქალთა ჟურნალ „ჩვენს გზას“ და გვიხარია, რომ ქართველ ქალებშიც არის თავ-განწირვა მშრომელი ხალხის თავისუფლების დასაცავად, რომ არის ბრძოლის წყურვილი მარად მოსისხლე მტრის, მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ...

ჟურნალი „ჩვენი გზა“ შეიძლება არ იყოს გამოცემული ფართო შინაარსით, მაგრამ ეს არ ჩაითვლება უარყოფით მხარედ, როგორც პირველი ცდისა და პირველი ნომრის. ჟურნალში სხვათა შორის მოთავსებულია ჩვენი ძველი მებრძოლის ფ. მახარაძის შინაარსიანი წერილი: „საბჭოთა ხელისუფლება და მშრომელი დედა-კაცი“. მოთავსებულია აგრედვე სხვა და სხვა ხასიათის წერილები თ. ა—სი, ქრისტინესი და სხვების, რომლებშიდაც თემა უთუოდ დაძლეულად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურულ განყოფილებაში კარგია პეტრე სამსონიძის „აღგზნება“, რომელიც დაწერილია ყმაწვილური აღფრთოვანებით. კარგია მისივე „კოშკი“. სუსტად უნდა ჩაითვალოს სხვებთან შედარებით სანდრო ეულის ლექსი „ჩვენი გზა“.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე წერილები მეცნიერებაზე და დასასრულ მშრომელ ქალთა წერილები.

საერთოდ ჟურნალი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და ჩვენ გულწრფელად მივესალმებით, ულოცავთ გზას სარედაქციო კოლეგიას, ჟურნალის ხელმძღვანელებს, დარწმუნებული, რომ მის გამოცემას არ შეაჩერებენ და მისცემენ საშუალებას ქართველ მშრომელ ქალებს უფრო ენერგიულად ჩაებან მსოფლიო რევოლიუციის ფერხულში.

დ. კ.

მადლობის გამოცხადება

ქ'ოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უაღრესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო ხსენებულ პირებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და ტობანიერის თემის, მთლიანი შრომის სკოლის დაწყებულ ორ სართულიან აგურით ასაშენებელ შენობის სასარგებლოთ თავიანთი წვლილი გაიღეს: ბაღდათის თემის მცხოვრებმა **იასიდორე ენდელაძემ** 30 ფუთი ალიბასტრი და ბათომში მოვაჭრე **ათანაილ შარაშენიძემ** 50 მილიონი მანეთი, რითაც ზემოხსენებულ პირებმა ადგილობრივ მშრომელ მასას, ფრიად სიმპატიური მიზნის სისრულეში, დროსაყვანათ დაეხმარენ და ტვირთი შეუმსუბუქეს.

ტობანიერის თემის აღმასკომის მდივნობით:

სოლ. ჯუბანიერიძე.

ხელოვნება

გაზეთი „ხომლი“. რედაქციამ მიიღო სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს ყოველკვირეული ორგანო „ხომლი“. (ნაცვლად გაზ. „ლომისისა“) შემდეგი შინაარსით: მეთაური—„ჩვენი კულტურისათვის, ი. გრიშაშვილი „ნათარგმნი ლიტერატურა“ ქართული დრამა—ინტერვიუ რეჟისორებთან. ჩვენი გამომცემლობა—ს. ფაშალიშვილის. არქეოლოგიური ნაშთი (მოთხრობა) ვ. ბარნოვისა. ლექსები: ვ. რუხაძის, ტუქსიშვილის, ქუჩიშვილის, ტერენტი გრანელის ი. მოსაშვილის, იასამანის. ბიბლიოგრაფია. ბრონიკა და სხვა.

სახალხო კონცერტი. კ. ფოცხვერაშვილის სახალხო კონცერტი, რომელიც უნდა შემდგარიყო „ახალ წრეში“ 27 სექტემბერს გაიმართება უფრო ფართო პროგრამით ახლო მომავალში იმავე ახალი წრის თეატრში. აღებული ბილეთები გამოდგება.

კონცერტი იმართება ქართული ხალხური სიმღერების ჩასაწერ და გამოსაცემ ფონდის შესაქმნელად.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს: ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მიმწერნი—საჯაროთ ვაცხადებთ, რომ მოქ. ამბერკი შარაშენიძის და სიმონ სულაბერიძის ხელმძღვანელობის ქვეშ სცენის მოყვარეთა „კოლექტივთან“ საერთო არაფერი გვაქვს. ჩვენ არ ვიცით რა „კოლექტივია“ ეს და პროტესტს ვაცხადებთ იმ პიროვნებების წინაშე, რომლებმაც ჩვენი სახელი და გვარი, ჩვენს დაუკითხავათ მოაქცია შიგ. ჩვენ ვეკითხებით მოქ. ა. შარაშენიძეს და ს. სულაბერიძეს—ვინ მისცათ მას უფლება ჩვენი სახელით ვაჭრობისა?!..

ხელს ვაწერთ: 1. **შალვა გუმბერიძე.**
2. **ტ. ცინცაძე.**
3. **ქ. მომფორია** (მამფორია).

1923 წ. სექტემბრის 16.

ს. ტობანიერი.

„გლავ-პოლიტპროსსვეტში“ 1921 წ. მე წარვადგინე ჩემ მიერ შედგენილი წიგნი ქართულს ენაზედ, სახელდობრ **„მერცხალი“**. ეს ხელთნაწერი იქ დაკარგულად აღმოჩნდა, ამიტომ ვთხოვ, თუ ვინც ამ ხელთნაწერს იპოვნის და წარმოადგენს, იმის სანაცვლოთ იგი მიიღებს ორას მილიონს.

ვახილი ბაკურაძე.

მიხამართი: წიგნის მაღაზია „სორაპანი“.

პროვინციაში

ქალ. ბათომი.

ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან. ამ დღეებში ტფილისიდან ბათომში დაბრუნდა ადგილობრივი გამგეობის თავმჯდომარე—ალექსანდრია—იგი დაესწრო ტფილისის ფ.-ტ. ცენტრ. გამგეობის **მე-3** პლენიუმს და ამის შესახებ გააკეთა მოხსენება—რომლითაც კრება კმაყოფილი დარჩა—ამს. ალექსანდრიამ სთქვა სხვათაშორის, რომ ნაციონალურ კითხვას პლენიუმი არ შეეხო და არც იქონია მასზედ მსჯელობაო, რადგან ეს კითხვა მე-12 ყრილობის მიერ გადაწყვეტილი და დაკანონებულია—და საჭიროა მხოლოდ მისი ცხოვრებაში გატარებაო“...

სამწუხაროდ ჩვენი ცხოვრება წვრილმალი ფაქტებისაგან თუ გარემოებისაგან შესდგება—და ყველა ამათ უნდა გაუწიოთ ანგარიში.

ამხ. ალექსანდრიამ იმის მაგიერად, რომ თვითონ გვაჩვენოს მაგალითი ნაც. კითხვის ცხოვრებაში გატარებისა—მან პირველმა (როგორც ყოველთვის) რუსულათ გააკეთა თავისი მოხსენება—მიუხედავად იმისა, რომ დიდი უმრავლესობა ქართველობაა ბათომის კანტორაში და ბევრმა მათგანმა—რუსული არ იცის!.. განა არ შეიძლება, რომ არა ქართველებს არ ვაწყენინოთ—ქართულათ ნალაპარაკევი მოკლე რუსულათ არ გადაუთარგმნოთ, და პრინციპიალურად კი ყოველთვის და ყველგან საქართველოს ტერიტორიაზედ სახელმწიფო ენაზე ვიმსჯელოთ? წინააღმდეგ შემთხვევაში კი სახელმწიფოს ნამდვილი შვილები რჩებიან გერის მდგომარეობაში. იმედია ამ ნაკლს ამხ. ალექსანდრია შემდეგში გამოაკეთებს.

ტრ. ი—ძე.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების თვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი **„ჩვენი გზა“** 1923 წ. ტფილისი.

ყოველ ჟურნალს, ყოველ წიგნს, თუ ის თავისი შინაარსით სწორი მსოფლმხედველობისაა და ჰეშმარიტი დამცველია საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მარად მებრძოლი პროლეტარიატის იდეალების, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. დღეს ასეთი ჟურნალების გამოცემა დიდ ხარჯებს თხოულობს.

ქალები ყოველთვინ მოკლებულნი იყვნენ ასეთ გამოცემებს, მეტადრე იმ დროს, როცა შავი რეაქცია ჯოჯოხეთური სიბნელით იყო გადაფარებული ყოველ სიმართლეზე და არ აძლევდა საშუალებას არც ერთ შეგნებულს და განსაკუთრებით მშრომელ ქალებს, რომ ისინი დაკავშირებულიყვნენ და შეერთებული ძალით ეწარმოებიათ ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ.

ასე ხდებოდა მენშევიკების ბატონობის დროსაც. ქალი ყოველგან და ყოველთვინ დაჩაგრული იყო.

ვაჭრობის მოქმედებანი —და ბანკირობანი—

დადგენილება № 108

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

—მოწმეთა და ექსპერტთა გამოუცხადებლობისა და მათ მიერ მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოსათვის ჩვენების მიცემაზე უარის განცხადების შედეგის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. დეკემბრის 31 თარიღითა და 125 №-ით გამოცემული დადგენილების იმ ნაწილის გასაუქმებლად, რომელიც შეეხება მოწმეთა გამოუცხადებლობას,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1

1. მას, ვინც არ გამოცხადდება და არც პატივსადებ მიზეზს წარადგენს ამ გაიოუცხადებლობისას, ან ჩვენების მიცემაზე უარს ეტყვის მკვლევის ორგანოს, გამომძიებელს ან სასამართლოს, დაისჯება ჯარიმით 1-დან 50 საჩერვონეცო მანეთამდე, ხოლო თუ ჯარიმის გადახდას თავს აარიდებს—იძულებითი ოუშაობით 3 თვემდე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული საქმეები, იმ შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53 და 61 მუხლების 1-ლ ნახევარში (გამოუცხადებლობა ან ჩვენებაზე უარის თქმა მოკვლევის ორგანოსა და გამომძიებელთან) განხილულ უნდა იქნეს სახალხო სასამართლოს მიერ გამწესრიგებელ სხდომაში, ხოლო იმავე მუხლების მეორე ნახევარში (გამოუცხადებლობა ან ჩვენებაზე უარის თქმა სასამართლოში) აღნიშნულ შემთხვევებისათვის ჯარიმას დაადებს იმ საქმის განმხილველი სასამართლო, რომლისთვისაც დაჯარიმებული მოწმედ იყო დაბარებული.

შენიშვნა: ესევე და იმავე წესით აგებენ პასუხს არა პატივსადები მიზეზით გამოუცხადებლობისა და დასკვნის მიცემაზე უარისათვის ექსპერტი და თარჯიმანი.

2

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემოღებამდე მიღებულ იქნეს შემდეგი წესი სამოქალაქო საქმეების გამო მოწმის გამოუცხადებლობისათვის ჯარიმის დადებისა.

3. უკე თუ სასამართლოს მიერ დაბარებული მოწმე, ექსპერტი ან მცოდნე პირი არ გამოცხადდება ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არა პატივსადებად სცნობს, მას სასამართლოს დადგენილებით უნდა დაედოს ჯარიმა ფულად 1-დან 10 საჩერვონეცო მანეთამდე მისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით: უკეთუ მეორეთაც არ გამოცხადდება, იგი უნდა იძულებით იქნეს მოყვანილი და დაედოს ორკეცი ჯარიმა.

4 უკეთუ მოწმე, ექსპერტი ან მცოდნე პირი უარს იტყვის ჩვენების ან დასკვნის მიცემაზე ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არა პატივსადებად სცნობს, უარის მთქმელს უნდა დაედოს ჯარიმა 10-დან 50 საჩერვონეცო მანეთამდე.

3

ამა დადგენილების 1 და 2 კარის წესით გადახდევინებული ფული შეტანილ უნდა იქნეს მახლობელ სახაზინადროში ხაზინის შემოსავალში ჩასარიცხად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალათაძე.**

1923 წ. ოქტომბრის „2“.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1000 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 680 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.